

შპს ბარკალაიას გრუპი

1

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

შპს ბარკალაიას გრუპი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ნაწილი	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ფულადი სახსრები.	12
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	12
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	12
7. ძირითადი საშუალებები.	13
9. სავაჭრო ვალდებულებები.	14
8. მოკლევადიანი სესხები	15
10. სხვა მოკლევადიანი სესხები	14
11. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15
12. . რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15
13. . სხვა შემოსავალი	15
14. კომერციული ხარჯები.	16
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.	16
16. არასაოპერაციო შემოსავალი.	16
17. ფინანსური დანახარჯები.	17
18. საკურსო სხვაობა.	18
19. სხვა არასაოპერაციო ხარჯი.	17
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

	შენიშვნა	2024-12-31	2023-12-31
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	399,467	7,973
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	127,200	926,455
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	4,361,658	1,242,360
სულ მიმდინარე აქტივები		4,888,325	2,176,788
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		-	-
ძირითადი საშუალებები	7	24,645	16,147
არამატერიალური აქტივები		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		26,645	16,147
სულ აქტივები		4,912,971	2,192,935
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	8	2,805,434	813,162
სავაჭრო ვალდებულებები	9	558,833	610,725
გადასახდელი პროცენტი		-	-
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის		-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	14,224	13,007
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე წილი		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,378,491	1,436,894
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი		-	-
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულებები		-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		3,378,491	1,436,894
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვი			
სააქციო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1,534,479	756,041
სულ საკუთარი კაპიტალი		1,534,479	756,041
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,912,970	2,192,935

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 (1 ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	11	9,053,620	5,037,056
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12	(7,733,894)	(4,330,088)
საერთო მოგება		1,319,726	706,968
სხვა შემოსავალი	13	482	
კომერციული დანახარჯები	14	(10,436)	(2,082)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(358,349)	(101,642)
საოპერაციო მოგება		951,423	603,244
არასაოპერაციო შემოსავალი	16	5	783
ფინანსური დანახარჯები	17	(98,269)	-
საკურსო სხვაობა	18	(70,922)	(28,435)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	19	(3,799)	
მოგება დაბეგვრამდე		778,438	575,592
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		778,438	575,592
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		756,041	180,449
დივიდენდები		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1,534,479	756,041

ხელმოწერილი პირი :

დირექტორი

კოტე ლოლაძე



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის


(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	სხვა რეზერვებ ი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2023	-	180,449	-	180,449
მოგება წლის განმავლობაში დივიდენდის განაწილება	-	575,592	-	575,592
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	756,041	-	756,041
მოგება წლის განმავლობაში დივიდენდის განაწილება	-	778,438	-	778,453
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	-	1,534,479	-	1,534,494

ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს შემდეგ პირის მიერ:

დირექტორი ----- კოტე ლოლაძე

თანდართული შენიშვნები/მე-6 დან 17-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „ბარკალაია გრუპი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2015 წლის 04 დეკემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 402024643, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ელ. ახვლედიანის ხევი, № 5 კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი გელა ბარკალაია (პ.ნ 39001000283)

კომპანიის დირექტორია კოტე ლოლაძე (პ.ნ 60001054659)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: ახალი და მეორადი ავტომობილების რეალიზაცია, სათაო ოფისი მდებარეობს ქალაქ თბილისში.

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2024 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-

შანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა, არამედ პირიქით კომპანია გეგმავს ქუთაისსა და ბათუმში ფილიალების გახსნას. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა დნადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

საგზაო ტექნიკა - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2023-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 USD=2.8068 ლარი;

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2024	2023
ნაღდი ფული სალაროში	379,878	7,718
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	8,648	250
უცხოური ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	10,941	5
სულ	399,467	7,973

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2024	2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	97,103	228,610
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	4,057	696,489
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	25,890	1356
წინასწარ გადახდილი გადასახადი	150	
სულ	127,200	926,455

2024 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია:

	2024	2023
საქონელი	4,360,758	1,241,063
ნედლეული და მასალები	900	1,297
სულ	4,361,658	1,242,360

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	კავშირგაბმ ულობის საშუალებე ბი	კომპიუტერ ული ტექნიკა	სარეკლამო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყო ბა	მცირე ფასიანი ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 2024 წლის 1 იანვარი	4,199	12,824	900		2,139	20,062
შემოსვლა გასვლა			1,290	11,346	875	13,511
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	4,199	12,824	2,190	11,346	3,014	33,573
დაგროვილი ცვეთა გასვლა	-980	-2697	-15		-224	-3915
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	3,219	10,127	2,175	11346	2,790	29,658
ცვეთის ხარჯი გასვლა	-840	-2,564	-180	-854	-574	-5012
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	2,379	7,563	1,995	10,492	2,216	24,645

8. მოკლევადიანი სესხები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქვს სასესხო ვალდებულება TBC ბანკის წინაშე, საკრედიტო ხაზის სახით, სესხის ვალუტა დოლარი.

	2024	2023
გელა ბარკალაია ვალუტა USD		813,162
TBC ბანკი საკრედიტო ხაზი ვალუტა USD	2,805,434	-
სულ	2,805,434	813,162

9. სავაჭრო ვალდებულებები.

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	2024	2023
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმ. ვალდებულება ლარში	69,821	238,246
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმ. ვალდებულება დოლარში	489,012	372,479
სულ	558,833	610,725

31.12.2024 წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი კომპანიები.

10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
გადასახდელი ხელფასები	8930	5,070
მომსახურების ანაზღაურება	1500	-
საპენსიო სააგენტო	470	514
ვალდებულება ანგარიშვალდებული პირების წინაშე	-	2,909
იჯარის ვალდებულება	-	3,200
საგადასახადო დავალიანება	3324	1,314
სულ	14,224	13,007

11. ამონაგები

კომპანიის ამონაგები შედგება:

	2024	2023
შემოსავალი ავტომობილების რეალიზაციიდან	9,053,620	5,017,280
შემოსავალი რეალიზაციიდან		19,776
სულ	9,053,620	5,037,056

12. . რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგება:

	2024	2023
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7,733,894	4,330,088
სულ	7,733,894	4,330,088

13. . სხვა შემოსავალი

კომპანიის სხვა შემოსავალი შედგება:

	2024	2023
შემოსავალი მომსახურებიდან	482	
სულ	482	

14. კომერციული ხარჯები.

კომპანიის კომერციული დანახარჯი შედგება:

	2024	2023
რეკლამის ხარჯი	10,144	882
მიწოდების სხვა ხარჯები	292	1200
სულ	10,436	2082

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2024	2023
ადმინისტრაციული ხელფასი	111,616	24,906
საიჯარო ხარჯი	29,964	8,135
მივლინების ხარჯი	159,569	38,010
საკონსულტაციო ხარჯები	8,962	220
ძირითადი საშუალების ცვეთა	5,013	3,246
საბანკო ხარჯები	21,335	7,540
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	21,890	19,585
სულ	358,349	101,642

16. არასაოპერაციო შემოსავალი

კომპანიის არასაოპერაციო შემოსავალი შედგება:

	2024	2023
არასაოპერაციო შემოსავალი	5	783
სულ	5	783

17. ფინანსური დანახარჯები

კომპანიის ფინანსური ხარჯი შედგება:

სესხის პროცენტის ხარჯი

2024 2023

98,270

სულ

98,270

18 საკურსო სხვაობა

კომპანიის ფინანსური ხარჯი შედგება:

დადებითი საკურსო სხვაობა

2024 2023

189,604

45258

უარყოფითი საკურსო სხვაობა

-260,526

-73,693

სულ

-70,922

-28,435

19 სხვა არასაოპერაციო ხარჯი

კომპანიის არასაოპერაციო ხარჯი შედგება:

სხვა არასაოპერაციო ხარჯები

2024 2023

3,799

სულ

3799

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 26 სექტემბერს.

დირექტორი

კოტე ლოლაძე